



საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის **დს-შ/3-17¹** გადაწყვეტილების მოკლე მიმოხილვა

ზურა ფარქოსაძე (სტუდენტი)

ფაქტები

ეთიკის კომისიაში ადვოკატის მიმართ მიმდინარეობდა დისციპლინური საქმის განხილვა. საჩივრის ავტორი წარმოადგენდა ადვოკატის ყოფილი კლიენტის ამხანაგობის წარმომადგენელს. სხდომის განხილვის პროცესში მხარეები შეკამათდნენ. საჩივრის ავტორმა დაწყევლა ადვოკატის შვილები, მას შემდეგ, როდესაც სხდომაზე შეიტყო, რომ ადვოკატმა მისი საქმე მასთან შეთანხმების გარეშე გაასაჩივრა. საპასუხოდ ადვოკატმა მომჩივანს შეაგინა და მობილური ტელეფონი ძირს დაახეთქა. განმხილველი კომისიის თავმჯდომარის განცხადების საფუძველზე ადვოკატის მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა. თავმჯდომარის მოსაზრებით, აღნიშნული ქმედებით ადვოკატმა კლიენტს მიაყენა შეურაცხყოფა. მან აშკარად და მძიმე ფორმით დაარღვია პროფესიული ქცევის წესები, როდესაც სასამართლოს მსგავს ორგანოში მიმდინარე მისი პროფესიული საქმიანობის განხილვის პროცესში გინებით შეურაცხყო ადვოკატის პროფესია და ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია.

პროცესუალური ისტორია

ეთიკის კომისიამ დაადგინა ადვოკატის მიერ „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-5 მუხლის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებისა და „ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-9 მუხლის 1-ლი და მე-4 ნაწილების დარღვევა. კომისიის განმარტებით, ადვოკატს, როგორც მართლმსაჯულებაში მონაწილე პირს, მოეთხოვება ქცევის მაღალი სტანდარტი. მისი ყველა მოქმედება უნდა შეესაბამებოდეს ეთიკის კოდექსით დადგენილ ადვოკატთა ქცევის მოთხოვნებს. შესაბამისად, ადვოკატი უნდა შეეცადოს, თავი აარიდოს იმგვარ ქმედებასა და გამონათქვამებს, რაც არ შეესატყვისება ადვოკატის მნიშვნელოვან როლს საზოგადოებაში და ხელს შეუშლის ამ პროფესიისადმი საზოგადოებრივი ნდობის მოპოვებას. ადვოკატმა პატივი უნდა სცეს არა მარტო სასამართლოში, არამედ საქმის განმხილველ სხვა ორგანოებშიც ქცევის წესებს. ადვოკატის მიერ განხორციელებული ქმედება არღვევს ეთიკის კომისიაში ქცევის წესებს და გამოხატავს მისდამი უპატივცემულობას. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით აღნიშნული ქმედებისთვის ადვოკატს დაეკისრა დისციპლინური სახდელი - საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 1 წლითა და 6 თვის ვადით. ადვოკატმა გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატაში გაასაჩივრა კანონით დადგენილ ვადაში და მოითხოვა მისი გაუქმება. მოგვიანებით, ადვოკატმა წარადგინა დაზუსტებული საჩივარი, სადაც აღნიშნა, რომ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება შედგენილი იყო კანონის დარღვევით, მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილისაგან. ხოლო, დასაბუთებული გადაწყვეტილება სახდელის დაკისრების თაობაზე მას ჩაჰბარდა კანონის იმპერატიული მოთხოვნის დარღვევით, გამოცხადებიდან 4 თვის დაგვიანებით. გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში უდავოდ დადგენილ ფაქტს წარმოადგენდა ის, რომ ადვოკატს სხვა საქმეზე დაკისრებული ჰქონდა დისციპლინური პასუხისმგებლობა - გაფრთხილება. თუმცა, უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ეთიკის კომისიას აღნიშნული გარემოება სახდელის განსაზღვრისას მხედველობაში არ უნდა მიეღო, რადგან გაფრთხილება გაქარწყლებულად ითვლება პასუხისმგებლობის დაკისრებიდან 6 თვის გასვლის შემდეგ. საქმის გარემოებათა გათვალისწინებით კი ადვოკატს არც პროცესში შეკამათების და არც კომისიის მიერ

¹ <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/22-maisi-3-17.pdf>

გადაწყვეტილების მიღების მომენტში არ ჰქონია დისციპლინური სახდელი. უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატამ გააუქმა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნა ეთიკის კომისიას და მისცა გარკვეული მითითებები. კერძოდ, კომისია ადვოკატის დისციპლინირების საკითხს განიხილავდა კომისიის ერთ-ერთი წევრის გ.ტ-ს მონაწილეობით, რომელიც ამავდროულად იყო იმ სხდომის შემადგენლობის წევრი, სადაც მოხდა დაპირისპირება მხარეთა შორის. პალატამ განმარტა, რომ დისციპლინურ წარმოებაში არ შეიძლება მონაწილეობდეს ეთიკის კომისიის ის წევრი, რომელიც თავად არის მხარე დისციპლინურ წარმოებაში. ასეთ პირობებში ეთიკის კომისიას მიეცა მითითება ემსჯელა მოცემულ დისციპლინურ საქმეში ამ წევრის მონაწილეობის შესაძლებლობის საკითხზე, რათა გამოირიცხულიყო გარემოება, როდესაც დისციპლინური წარმოების მხარე თავად არის მსაჯული თავისივე საქმეში. სადისციპლინო პალატის მითითებით, კომისიას საქმის ხელახლა განხილვისას მხედველობაში უნდა მიეღო ის გარემოება, რომ შეურაცხყოფას ჰქონდა ორმხრივი ხასიათი, ადვოკატის მიერ ქცევის წესების დარღვევა გამოიწვია კლიენტის მიერ ადვოკატის არასრულწლოვანი შვილების დაწყევლამ. კომისიას სახდელის დაკისრებისას უნდა გაეთვალისწინებინა მისი პროპორციულობა და თანაზომიერება, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები, გადაცდომის შინაარსი, სიმძიმე და შედეგები, ადვოკატის პიროვნება, რაც საბოლოო ჯამში განაპირობებდა გამოყენებული სახდელის ადეკვატურობას.

ეთიკის კომისიამ საქმის ხელახალი განხილვის შემდეგ ადვოკატს კლიენტის, პროფესიისა და ეთიკის კომისიისადმი მიყენებული შეურაცხყოფისათვის სახდელის სახით განუსაზღვრა 1 (ერთი) წლის ვადით საქმიანობის უფლების ჩამორთმევა. კომისიის გადაწყვეტილება უზენაეს სასამართლოში კვლავ გასაჩივრა ადვოკატმა და დაუსაბუთებლობისა და უკანონობის გამო მოითხოვა მისი გაუქმება.

სამართლებრივი შეფასება

სადისციპლინო პალატის განმარტებით ეთიკის კომისიამ არ გაითვალისწინა მიცემული მითითებები საქმის ხელახლა განხილვის პროცესში. კერძოდ, უნდა დადგენილიყო ეთიკის კომისიაში გ. ტ-ს მონაწილეობის მართლზომიერება, მით უფრო, რომ განხილვის კოლეგიის თავმჯდომარე მიმართვაში მიუთითებდა ადვოკატის მიერ არა მხოლოდ კლიენტის, არამედ დავის განმხილველი ეთიკის კომისიის შეურაცხყოფაზე, ხოლო ადვოკატი ინციდენტის მიზეზთა შორის ასახელებდა კომისიის მიერ სხდომის არასათანადო წარმართვას, კოლეგიის უმოქმედობას, რამაც გამოიწვია სიტუაციის უკიდურესად დამაბუზა და მხარეთა მიერ ურთიერთშეურაცხყოფა, თუმცა ეთიკის კომისიამ ისე მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სადისციპლინო პალატის ზემოაღნიშნული მითითებები არ გაითვალისწინა და მათზე არ იმსჯელა. ეთიკის კომისიამ გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებისას ასევე არ გაითვალისწინა სადისციპლინო პალატის მითითება, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ იყო დასაბუთებული ადვოკატისათვის დაკისრებული სახდელის ნაწილშიც. სადისციპლინო პალატამ აღნიშნა, რომ შეურაცხყოფას ჰქონდა ორმხრივი ხასიათი, ადვოკატის მიერ ქცევის წესების დარღვევა გამოიწვია კლიენტის მიერ ადვოკატის არასრულწლოვანი შვილების დაწყევლამ. დისციპლინური წარმოება გამოირჩევა სპეციფიკურობით იმ თვალსაზრისით, რომ წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენს კლიენტის პრეტენზიები ადვოკატის მიერ განხორციელებული მომსახურების მიმართ. ამ დავაში კლიენტი ხდება ადვოკატის მოწინააღმდეგე მხარე, შესაბამისად, საქმის განხილვისას ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობის ემოციური ფონი მაღალია. მართალია, ადვოკატს გააჩნდა თმენის ვალდებულება და იგი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები, არ შელახოს სასამართლოსა და პროცესის სხვა მონაწილეთა

უფლებები, მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ადვოკატის საქციელს მისი ყოფილი კლიენტის მხრიდან არა ერთი მაპროვოცირებელი განცხადება უძლოდა წინ. ამასთანავე, გადაცდომის ჩადენის მომენტისათვის ადვოკატის მიმართ არ ყოფილა გამოყენებული დისციპლინური პასუხისმგებლობის რაიმე ზომა, ის სარგებლობს დადებითი საქმიანი და მორალური რეკუტაციით, მას საქმის განხილვის არცერთ ეტაპზე გადაცდომის ფაქტის არსებობა სადავოდ არ გაუხდია. ადვოკატმა ეთიკის კომისიის სხდომაზე, ასევე სადისციპლინო პალატაში საქმის ხელმეორედ განხილვისას მოინანია თავისი საქციელი და განაცხადა, რომ ადვოკატისათვის შეუფერებელი საქციელი ჩაიდინა. სადისციპლინო პალატის განმარტებით, გასაჩივრებულ გადაწყვეტილებაში არ არის დასაბუთებული ადვოკატის მიმართ გამოყენებული დისციპლინური სახდელის ჩადენილ გადაცდომასთან პროპორციულობა. ამასთან, მხედველობაშია მისაღები მანამდე არსებული პრაქტიკა. ადვოკატმა საჩივართან ერთად წარმოადგინა ეთიკის კომისიისა და სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებები, სადაც მსგავსი გადაცდომების გამო ადვოკატს შეეფარდა სახდელი, რომელიც არ უკავშირდება საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევას. ამდენად, სადისციპლინო პალატა არ იზიარებს ადვოკატთა ასოციაციის წარმომადგენლის მოსაზრებას ადვოკატის მიერ ჩადენილ გადაცდომასთან გამოყენებული სახდელის შესაბამისობის თაობაზე.

დასკვნა

სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილებით საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. გაუქმდა ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილებით ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობის სახედ განესაზღვრა გაფრთხილება.